

ს ა მ ა რ თ ვ ი ლ ო ს ს ს რ მ ი ც ნ ი მ რ მ ბ ა თ ა ა კ ა დ ე მ ი ა  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი

ხელნაწერის უფლებითა

ნ. კილაძე

## **ს. მღვიმევში მოყოვებული ახალი კალაოლითუარი ნაშთები**

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის  
მოსაპოვებლად წარმოდგენილ ნაშრომის ავტორეფერატი

გასულა საუკუნის 60-იან წლებში, როდესაც ქვის ხანის ნაშთების სისტემატური კვლევა-ძიება დასავლეთ ევროპაში მხოლოდ ფეხს იდგამდა და აღმოჩენილი ნაშთების შესწავლა ძირითადად „ზოოლოგიურ კლასიფიკაციას“ ეყრდნობოდა, კ. მარქსი წერდა: „რა მნიშვნელობაც დაშთენილი ძვლების აგებულებას აქვს მოსპობილ ცხოველთა ჯიშების ორგანიზაციის შესასწავლად, ისეთივე მნიშვნელობა აქვს შრომის საშუალებათა ნაშთებს მოსპობილ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციათა შესასწავლად“ (კ. მარქსი «კაპიტალი», თბილისი. 1930, გვ. 140-141).

ადამიანთა წარსულის ნაშთების ასეთმა განსაზღვრამ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციისა და შრომის საშუალებათა ნაშთების პირდაპირი კავშირი გამოამჟღავნა და სხვა ძეგლებთან ერთად ქვის ხანის ნივთიერი კულტურის ნაშთებსაც მიანიჭა ისტორიული მნიშვნელობა.

როგორც ვიცით, ოქტომბრის რევოლუციამდე საერთოდ კავკასიაში და კერძოდ საქართველოში ძველი ქვის ხანის ნაშთების აღმოჩენები მეტად შემთხვევითი იყო და ამ მიმართულებით კვლევა-ძიება არ წარმოებდა. 1880-ანი წლების ის მკვლევარნი, რომელთაც კავკასია სხვა ქვეყნებთან შედარებით გვიან დასახლებულ ტერიტორიად მიაჩნდათ, ადგილობრივ ქვის ხანის ნაშთების არსებობას სრულიად უარყოფდნენ (რ. ვირზოვი და დ. ანუჩინი). იყვნენ ისეთი მკვლევარნიც, რომლებშიც შემთხვევით აღმოჩენილი ქვის იარაღები შორსმჭვრეტელობას აღვიძებდა და რომელთაც კავკასიაში ქვის ხანის ადამიანის არსებობა შესაძლებლად მიაჩნდათ (ა. უვაროვი, დ. ბაქრაძე, ა. ბერნაცკი და სხვები).

1914-1916 წლებში დასავლეთ საქართველოში რ. შმიდტისა და სხვა უცხოელ მკვლევართა მიერ აღმოჩენილმა ნაშთებმაც ვერ ჰპოვეს ღირსეული შეფასება. ეს ნაშთები თითქმის გამოუქვეყნებელი დარჩა, ხოლო მათი ნაწილი სრულიად დაიკარგა მეცნიერებისათვის.

საქართველოში ქვის ხანის ნაშთების სისტემატურ კვლევა-ძიებას მხოლოდ საბჭოთა პერიოდში ჩაეყარა საფუძველი. დიდად

წასწია წინ ეს საქმე პროფ. გ. ნიორაძის დაუღალავმა შრომამ. საქართველოს ტერიტორიაზე ძველი ქვის ხანის ადამიანის არსებობა უდავო გახდა და აღმოჩენილი ნაშთები ნამდვილი მეცნიერული კვლევის საგნად გადაიქცა.

უკანასკნელი 20-25 წლის განმავლობაში საქართველოში ქვის ხანის ადამიანის რამდენიმე სადგომია უკვე დადგენილი. მიუხედავად ამისა, ძველი ქვის ხანა, ისტორიული დროის ეს მეტად დიდი მონაკვეთი, მრავალმხრივ არ არის შესწავლილი. ჯერჯერობით დარბად არის წარმოდგენილი ქვედა პალეოლითი, ხოლო ზედა პალეოლითის ცალკეული კომპლექსები, მეტწილად დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი, პირველყოფილ ადამიანთა საზოგადოების სრულ სურათს, რასაკვირველია, არ იძლევა. აღმოსავლეთი საქართველო კი ამ მხრივ სრულიად შეუსწავლელია.

წინამდებარე ნაშრომის „ს. მღვიმეში მოპოვებული ახალი პალეოლითური ნაშთები“ მიზანია ძველი ქვის ხანის ერთ-ერთი ეპოქის შესწავლა.

1940 წელს, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის კათედრის გეგმის თანახმად, პროფ. გ. ნიორაძის ხელმძღვანელობით მოეწყო ექსპედიცია ჭიათურის რაიონში არქეოლოგიური დაზვერვების ჩასატარებლად. ამ ექსპედიციაში მონაწილეობდა სადისერტაციო ნაშრომის ავტორიც.

ჭიათურის რაიონში ქვის ხანის ადამიანის ნაშთების არსებობის შესახებ უკვე 1880-იანი წლებიდან მოგვეპოვება ცნობები (ა. ბერნაცკი, უფრო გვიან სტ. კრუკოვსკი). საჭირო იყო ქვის ხანის ადამიანის რომელიმე სადგომის აღმოჩენის შემთხვევაში უშუალო არქეოლოგიური გათხრებით მისი საბოლოო გამოვლინება.

დაზვერვისას ექსპედიციის ყურადღება მიიპყრო მღვიმევის კლდის ზედაპირზე მიმობნეულმა კაჟის მრავალმა ანამტვრევმა და იარაღმა, ხოლო, მეორე მხრივ, შუა კლდეში ორ სართულად განლაგებულმა რამდენიმე გამოქვაბულმა და კლდოვანმა „ფარდულმა“.

ს. მღვიმეში ქვის ხანის ნაშთების არსებობის შესახებ პირველ უტყუარ ცნობას გვაწვდის არქეოლოგი ს. ზამიატინი, რომელსაც იქ 1934-35 წლებში, საკავშირო აკადემიის ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის ლენინგრადის ინსტიტუტის დავალებით, არქეოლოგიური დაზვერვა უწარმოებია („Новые данные по палеолиту За-

კავკაზაჲა“. Советская этнография, М.-Л. № 2, 1935, გვ. 116-123). ს. ზაძიატხიხის ცნობებზე დაყრდნობით მღვიმევის მასალები მოხსენებული აქვთ ცნობილ რუს არქეოლოგს პ. ეფიმენკოს თავის კაპიტალურ ნაშრომში (П. П. Ефименко. Первобытное общество, Ленингр. 1939, გვ. 318) და ავსტრიელ არქეოლოგს ფ. ჰანჩაოს ამრიგად, მღვიმევის მასალები სპეციალურ ლიტერატურაში უკვე იყო სამსჯელოდ გამოტანილი და საქართველოს მუზეუმებში კი არ მოგვეპოვებოდა იქაური პალეოლოთური ნაშთები.

არქეოლოგიური დაზვერვის შემდეგ ჩვენმა ექსპედიციამ გათხარა მღვიმევის ერთ-ერთი კლდოვანი ფარდული.

მღვიმევაში არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებულმა ნაშთებმა, გარდა იმისა, რომ ერთხელ კიდევ დაგვიდასტურა საქართველოს ტერიტორიაზე ძველი ქვის ხანის ადამიანის არსებობა, საქართველოს არქეოლოგიას პალეოლითის ერთ-ერთი ეპოქის კუთვნილი სრული კომპლექსიც შესძინა.

ღვიმევაში აღმოჩენილი კაყის მთელი მასალის კლასიფიკაციამ ავტორს საშუალება მისცა ქვის იარაღთა სხვადასხვა ტიპები გამოეყო და შეესწავლა ამ იარაღების წარმოების ტექნიკა და იმ დროს არსებული შრომის სხვადასხვა პროცესი.

მღვიმევის პალეოლითური ნაშთების კომპლექსის შესწავლასთან დაკავშირებით ავტორს გარკვეული აქვს საქართველოს ტერიტორიაზე დღემდე აღმოჩენილი ძველი ქვის ხანის ნაშთები და მოცემული აქვს მათი ქრონოლოგიური კლასიფიკაცია. ამ საკითხის გარკვევა დაუკავშირდა მღვიმევის პალეოლითურ ნაშთებში შემჩნეული გარდამავალი საფეხურის ზოგი ნიშნის არსებობის და ამის საფუძველზე საქართველოს ძველი ქვის ხანის კულტურის უწყვეტი განვითარების გამოვლენას.

ავტორის მიზანს ისიც წარმოადგენდა, რომ გაერკვია, თუ რა ურთიერთობა აქვს საქართველოს პალეოლითურ ნაშთებს სხვა ქვეყნების ანალოგიურ ნაშთებთან საერთოდ, კერძოდ კი ე. წ. „კაპსის“ კულტურის ნაშთებთან.

გამოკვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს მარქსიზმის ფუძემდებელთა ნაშრომები, რომლებიც იძლევიან პირველყოფილ—თემური წყობილების საზოგადოებრივ-ეკონომიური ურთიერთობის სწორად გაგების გასაღებს.

დისერტაცია შედგება შესავალისა (20 გვ.) და შემდეგი ოთხთაგისაგან:

1. ძველი ქვის ხანის ნაშთები საქართველოში.

ა) ლიტერატურული ცნობები (9 გვ.)

ბ) არქეოლოგიური აღმოჩენები (6 გვ.)

2. მღვიმევის კლდე-ფარდული „დალი“. (14 გვ.)

3. „დალის“ პალეოლითური ნაშთები

ა) ქვის იარაღები. (41 გვ.)

ბ) ძვლის იარაღები. (14 გვ.)

გ) პალეოზოოლოგიური ნაშთები (14 გვ.)

4. საქართველოს ძველი ქვის ხანის ქრონოლოგიური კლასიფიკაციის ცდა. (28 გვ.)

ამასთანავე შრომას დართული აქვს ალბომი (სქემატური ტოპოგრაფიული გეგმა კულტურული ფენის, კრილებისა და კოლექციის ძირითად ჯგუფთა ფოტოსურათების), კაჟის მთელი მასალის ცხრილი და შესწავლილი პალეოზოოლოგიური მასალის სია.

მღვიმევის გამოქვაბულები და კლდოვანი ფარდულები მდებარეობს ჭიათურა-საჩხერის რკინიგზის სადგურის ჩრდილოეთით, მისგან ორ კილომეტრზე, მდ. ყვირილას მარჯვენა ნაპირას, სოფ. მღვიმევის ზედა ცარცის კირქვიერ ქანებში. გამოქვაბულები, განსაკუთრებით კი კლდოვანი ფარდულები, დროთა განმავლობაში ატმოსფერული აგენტების გავლენით ნაწილობრივ დაშლილა. ამავე მიზეზის შედეგი უნდა იყოს ერთ დროს მათში არსებული კულტურული ფენების დაშლაც. ზოგი მათგანი მთლიანად „გამორეცხილია“, ისე რომ გამოვლინებულია გამოქვაბულთა კლდოვანი იატაკი. საცდელმა თხრილებმა დაგვანახვა, რომ კულტურული ფენა რამდენადმე უკეთესად იყო შემონახული იმ ფარდულში, რომელსაც ს. ზამიატინი „№ 1“ უწოდებს. ჩვენ მას „დალი“ ვუწოდეთ. 1

კლდოვანი ფარდული „დალი“ ამჟამად წარმოადგენს განიერს (შესავლის სიგანე 40 მეტრია), მოკლე (არა უმეტეს 8,5 მ.) და ოვა-

---

<sup>1</sup> ქართველი ტომები „უძველესი დროიდან ტყის ნადირთა მფარველ ღვთაებას „დალს“ უწოდებდნენ (ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია. „საქართველოს ისტორია“, თბ. 1946 წ. გვ. 95). მღვიმევის კლდოვან ფარდულში მრავლად ვნახეთ გარეულ ცხოველთა ნაშთები, რის გამოც ვაძლევეთ მას ამ სახელწოდებას.

ლური ფორმის საკმაოდ დაშლილ გამოქვაბულს, რომელსაც წინ სწორი და პატარა ფართობი აქვს.

საცდელმა თხრილებმა გამოავლინა 25 კვ. მეტრ ფართობზე გავრცელებული კულტურული ფენა. ეს ფართობი დაიყო 20 კვადრატად (1,25 მ. × 1,25 მ.).

კულტურული ფენის უდიდესი სიღრმე 0,80 სმ. უდრიდა. ნაშთების ძირითადი მასა თავმოყრილი იყო ფარდულის ჩრდილო-აღმოსავლეთ უბანში, რომელიც კლდეში უფრო ღრმად არის შეჭრილი, და კულტურული ფენაც კარგად იყო იქ დაცული. ფარდულის იმავე უბანზე დადგენილია ცეცხლის ნიშნები (კვ. №№ 4, 7, 8). ფარდულის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი უფრო ღიაა და ამ უბანში კულტურული ფენაც ადგილ-ადგილ დაშლილი აღმოჩნდა (კვადრატები №№ 13, 14 და სხვ.).

გათხრამ ძველი ქვის ხანის დიდი და საკმაოდ მთლიანი კომპლექსი მოგვცა. ნაშთების უდიდეს ნაწილს (31 ათასამდე) კაჟისა და ობსიდიანის მასალა წარმოადგენს. ასევე მრავლადაა ცხოველთა ძვლების ნაშთები, წვრილად დამტვრეული. კულტურულ ფენაში ნაშთების სიუხვე იმის მაუწყებელია, რომ ეს ფარდული დიდხანს ყოფილა პირველყოფილი ადამიანის თავშესაფარი.

„დალში“ მცხოვრები პირველყოფილი ადამიანი ქვის იარაღებს ადგილობრივი კაჟიდან აკეთებდა. კაჟი ჭიათურის რაიონში ბლომად მოიპოვება (კაცხი, სალიეთი). „დალში“ აღმოჩენილ კაჟი უმთავრესად ღია ვარდისფერი და მოყავისფრო—წითელია; მცირე რაოდენობით გვხვდება ნაცრისფერიც. შემჩნეულია პატინა ზოგიერთ ანატკეცს პატინა არშიასავით გასდევს ირგვლივ, ზოგჯერ ნაწილობრივ არის დაფარული პატინით.

მღვიმევის პალეოლითელ ადამიანის ნაბინავარებში ჩვენი ექსპედიციის მიერ პირველად არის დადგენილი პალეოზოოლოგიური ნაშთები და ძვლის იარაღები.

პალეოზოოლოგიურ ნაშთებში ყურადღებას იპყრობს დამწვარი ძვალი. მრავლად არის აგრეთვე დამწვარი კაჟი (2.000 ცალიამდე) და ნახშირის ფრაგმენტები, რაც „დალის“ ადამიანის მიერ ცეცხლის გამოყენებას მოწმობს.

ამრიგად, მღვიმევის ნაშთები წარმოადგენს ძველი ქვის ხანის გარკვეული ეპოქის ერთ მთლიან კომპლექსს.

წარმოდგენილი ნაშრომის დიდი ნაწილი დათმობილი აქვს ქვისა და ძვლის იარაღების ტიპოლოგიის გარკვევას.

კაქისა და ობსიდიანის ხაშთებიდან ცალკე გამოყოფილი და კლასიფიცირებულია როგორც იარაღები, ისე ანამტვრევ-ანატემ-ცებიც, რომლებიც იმავე იარაღების წარმოების დროსაა წარმოქმნილი.

ამის საფუძველზე ქვის იარაღების დამუშავების შემდეგი სტადიები გვაქვს დადგენილი:

ა) კაქის ბუდობის ადგილზე კაჭარის შერჩევა, ე. ი. წარმოებისათვის გამოსადეგი ნედლი მასალის მოპოვება.

ბ) კაჭარის „გათლა“, ე. ი. მისთვის ქერქის შემოცლა და ამრიგად ნუკლეუსების გამოყვანა.

გ) ნუკლეუსებიდან ლამელების ატეცვა.

დ) ლამელების მეორადი დამუშავება, ე. ი. რეტუშის ან გვერდწახნაგის გაკეთებით მათზე იარაღების გაფორმება.

ეს სტადიები დადგენილია „დალის“ კოლექციაში შემდეგი მასალის არსებობის მიხედვით:

ა) თავ-ბოლოგადამტვრეული მოგრძო ფორმის კაჭრები, რომელთაგან მხოლოდ 10 ცალია უვარგისი.

ბ) კაჭარის თავები და კაჭრის ქერქიანი მრავალი ანამტვრევი (3 ათას ცალამდე).

გ) პრიზმისებრი ნუკლეუსები (388 ცალი) და მათგან ატეცილი სხვადასხვა ზომის მოგრძო ლამელები (6 ათასამდე), რომელთაგან ცალკე გამოყოფილია 374 ცალი რეტუშისანი ლამელა.

დ) რეტუშით და ლამელაზე მჭრელი გვერდწახნაგის გაკეთებით საბოლოოდ გაფორმებული იარაღები.

დანიშნულებისა და მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით ქვის იარაღები 3 ძირითად ჯგუფად იყოფა: 1) საფხეკები, 2) საჭრისებო და 3. მიკროლითები.

1. საფხეკები უმთავრესად მოგრძო ლამელებისაგანაა გაკეთებული. ლამელას ბოლოზე და ხშირად თავზედაც გაკეთებული აქვს რეტუში, რის გამოც იარაღის სამუშაო პირებს რკალისებრი ფორმა მიუღია. ყველაზე მდიდრულადაა წარმოდგენილი მცირე ზომის ფქვილურეტუშისანი და კოხტად გამოყვანილი მოგრძო საფხეკები (600) ცალამდე). უხეში ფორმის ანამტვრევის საფხეკები ერთეუ-

ლების სახით მოგვეპოვება. არის ისეთი საფხეკები, რომლებსაც შერჩენიათ კაჭარის ქერქი (8 ცალი), მაგრამ მათი სამუშაო პირები მაისც ფაქიზი რეტუშითაა გამოყვანილი.

საფხეკების ჯგუფიდან აღსანიშნავია: ცალგვერდრეტუშიანი და ორგვერდრეტუშიანი საფხეკები, რომლებსაც გვერდებზე ერთ მწკრივად გასდევს წვრილფაცეტებოანი რეტუშა. ყურადღებას იპყრობს ლამაზად გამოყვანილი ამოღარული საფხეკები და მცირე ზომის მაღალი საფხეკები (21 ცალი). „დალის“ კოლექციაში ისეთი იარაღებიც მოგვეპოვება, რომლების ზურგიც მთლიანად დიდრონი ფაცეტებითაა დამუშავებული (3 ცალი).

2. საჭრისების საგრძნობი ნაწილი (300 ცალი) მოგრძო ლამებზეა გამოყვანილი. მრავლად მოიპოვება მარტივი ფორმის საჭრისებიც. საჭრისების ჯგუფიდან აღსანიშნავია: „მუალა“ ფორმისა (95 ცალი), თავირიბრეტუშიანი (35 ცალი), ორმხრივი (ღებლირებულნი) საჭრისი (27 ცალი) და ხიწვიანი საჭრისები სხვადასხვა ფორმისა.

ჩვენი კოლექცია არ არის მოკლებული არც მრავალფაცეტიან მკრეღგვერდწახნაგინ საჭრისებს, რომლებიც Burlin huasque ტიპებს წააგავს.

მღვიმევის კოლექციისათვის დამახასიათებელია ერთსა და იმავე ლამელაზე ან კაეის ანამტერეზე გაკეთებული ორგვარი დანიშნულების სამუშაო პირები, რაც ე. წ. კომბინირებული იარაღების სახელითაა ცნობილი. ესენია: საჭრის საფხეკები, სახვერტე საჭრისები და სხვა. ასეთი იარაღი 50 ცალი მოგვეპოვება.

3. მიკროლითურ იარაღებში ჭარბობს ვიწრო და ცალ-გვერდ-დაბლაგვერდული ლამელები, ე. წ. გრავეტის ტიპის დანები და მათი მსგავსი, მცირე ზომის იარაღები (42 ცალი). თავისი სიმრავლითა (40 ცალი) და ფაქიზი რეტუშით ყურადღებას იპყრობს წვრილი სახერტები.

მიკროიარაღებიდან გამოირჩევა 16 ცალი თავისებური გვერდ-ამოღარული და თავწაწვეტებულნი იარაღი. მათი ამოღარული და წაწვეტებული ნაწილები იმის მახვენებელი უნდა იყოს, რომ ამ იარაღებს ერთ ღროს ტარი ქქონია დაგებული.



მიკროიარაღებში მოიპოვება 24 ისეთი ლამელა, რომლებსაც ნიუარისებური სიბრტყის პაწია ნაწილზე (0,2 სმ.) ეტყობა რეტუში.

მიკროიარაღებსვე მივაკუთვნებთ სამწახხაგა წვრილ ლამელებს, რომლებსაც ერთ გვერდზე მიუყვება რეტუში. როგორც ცნობილია, კოლექციაში ასეთი ანატექეცების არსებობა საჭირისების დამუშავებას უკავშირდება. ასეთი წვრილი ლამელები პირველყოფილ ადამიანს სრულიად დაუმუშავებლადაც შეეძლო გამოყენებინა.

ხსენებული იარაღების მრავალსახეობა იმას მოწმობს, რომ მათი ფუნქციები წარმოებაში საკმაოდ დიფერენცირებული ყოფილა და შრომის პროცესებიც რთული უნდა ყოფილიყო. მღვიმევის პირველყოფილ ადამიანს კაჟის იარაღებით შეეძლო ფხეკა, ჭრა, ხვრეტა და სხვა.

კაჟის მთელი მასალის შესწავლამ და შრომის სხვადასხვა სტადიის დადგენამ გამოაშკარავა, რომ მღვიმევის ადამიანი იარაღის წარმოების ორგვარ ტექნიკას იყენებდა: ა) ატექეციოსა და ბ) წნევიოს. კაჭარის დამუშავების დროს ალბათ გათლითს (тесанная) ტექნიკასაც მიმართავდა. ყველა ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ მღვიმევის ადამიანი ველურობის დაბალ საფეხურზე არ უნდა მდგარიყო.

კაჟის იარაღების ტიპოლოგიურმა გამოკვლევამ და მათი ანალოგიების გამონახვამ (საქართველო, ყირიმი, ვორონეჟის მიდამოები) შესაძლებლობა მოგვცა მღვიმევის ნაშთები ძველი ქვის ხანის ე. წ. ორინიაკის საფეხურისათვის მიგვეკუთვნებინა. კაჟის ინვენტარში შემჩნეული ზოგიერთი ნიშანი კი მღვიმევის კოლექციას სოლუტრეს ელფერსაც აძლევს. ეს ნიშნებია: ფაქიზად გამოყვანილი დუბლირებული საფხეკები, მრავალფაცეტიანი საჭრისები, გვერდამოდარული წვეტანები, მიკროიარაღების, სიმრავლე. გეომეტრიული ფორმების იარაღები დალის კოლექციისათვის უცნობია.

ამრიგად, მღვიმევის კაჟის ინვენტარი წარმოადგენს ძველი ქვის ხანის გარკვეული ეპოქის (ფინალური ორინიაკის) მთლიან კომპლექსს, რომელიც კანონზომიერი განვითარების ნიშნებსაც ატარებს.

მღვიმეებში აღმოჩენილია ძვლის იარაღები (23 ცალი) და მათი ფრაგმენტები.

ძვლის იარაღების უმეტესი ნაწილი სადგის-სახვრეტებს წარმოადგენს. აღსანიშნავია ცალთავეწაწვეტილი სადგისები, რომლებიც გამოყვანილია წინასწარ დაუმუშავებელი ლულოვანი ძვლის ბრტყელ ფრაგმენტზე. ისეთი სახვრეტებიც მოგვეპოვება, რომლებიც წინასწარ დამუშავებელ ძვლის ნატეხებზეა შესრულებული. სადგისების ჯგუფიდან ყურადღებას იპყრობს თავბოლო-გაწერილობული იარაღები, რომლებიც მეტად მზრუნველობითაა შესრულებული. ზოგ მათგანს თავებზე ირგვლივ კდეული ზოლები აქვს შემოვლებული. კდეული ზოლები შემჩნეულია იარაღის ზოგიერთ ფრაგმენტზედაც.

ძვლის იარაღებიდან სიდიდით (16 სმ.) გამოირჩევა სადგისის მსგავსად გამოყვანილი ე. წ. „ხელშუბის“ პირი, რომლის ტანის დიდი ნაწილი ერთნაირად არის გათლილი და რომელსაც მხოლოდ მცირე ნაწილი აქვს წაწვეტებული. ეს იარაღი ძლიერ ჰგავს გაგარინოს პალეოლითურ სადგომში აღმოჩენილ ძვლის ხელშუბს

(„Палеолит СССР“ Изв. ГАИМК М-Л, 1935, вып. 118, стр. 57, рис. 2).

მღვიმევის ძვლის იარაღების მესამე ჯგუფს წარმოადგენს შუბის პირები, რომლებსაც ბოლოები ირიბად აქვს ჩამოკვეთილი. ეს იარაღები სანადიროდ უნდა ყოფილიყო განკუთვნილი და ჩამოთლილ ბოლოებზე მათ ტარი უნდა ჰქონოდათ ირიბად მიმაგრებული, მაშასადამე, ისინი ტარში არ იქნებოდნენ ჩასმული.

მღვიმევიში აღმოჩენილი ძვლის იარაღების და დაუმთავრებელი ფრაგმენტების (ნამზადების) შესწავლა უფლებას გვაძლევს არა მხოლოდ მათი ადგილობრივი დამუშავება ვცნოთ, არამედ იქ ძვლის დამუშავების სხვადასხვა პროცესიც დავადგინოთ.

მღვიმევის კლდოვან ფარდულში აღმოჩენილია ცხოველთა მრავალი ძვალი და კბილი დადგენილია ცხოველთა შემდეგი სახეები: 1) ცხენი (*Equus caballus*); 2) პირველყოფილი ხარი (*Bos sp.?*); გარეული თხა (*Capra sp.?*); 4) გარეული ცხვარი (*Ovis sp.?*); 5) გამოქვაბულის დათვი (*Ursus sp.cf. speleaus*); 6) გამოქვაბულის ლომი

(Felis spel. Goldf.); 7) მგელი (Canis lupus); 8) შინაური ღორი (sus scrofa cf. domest.); 9) შინაური ხარი (Bos sp. cf. taurus)<sup>1</sup>.

უკანასკნელი ორი ცხოველის ნაშთი აღმოჩენილია კულტურული ფენის ზედა, არეულ-დაშლილ ნაწილში.

პალეოზოოლოგიური ნაშთების უმეტესობას პირველყოფილი ხარის, ცხენისა და გარეული თხის ძვლები შეადგენს, ხოლო მტაცებელ ცხოველთა ნაშთები კი მხოლოდ ერთეულებია.

ქვისა და ძვლის მასალის მთელი კომპლექსი და მასთან ერთად პალეოზოოლოგიური მონაცემები საშუალებას გვაძლევს მღვიმევის ნაშთები ზედა პალეოლითის პირველ ეპოქას დაუკავშიროთ.

მღვიმევის პალეოლითური მასალების შესწავლასთან დაკავშირებით ნაშრომში მოცემული გვაქვს საერთოდ საქართველოში აღმოჩენილი ძველი ქვის ხანის ნაშთების ქრონოლოგიური კლასიფიკაციის ცდა.

მართალია, საქართველოს ტერიტორიაზე დღემდე აღმოჩენილი ნაშთები მცირერიცხოვანია, მაგრამ ისინი ქვის ხანის სხვადასხვა საფეხურის შესატყვის კომპლექსებს მაინც გვაძლევენ. ქვედა პალეოლითის ჯერჯერობით ღარიბად წარმოდგენილ ნაშთებთან ერთად (შავი ზღვის სანაპიროებიდან) ზედა პალეოლითის და ეპიპალეოლითის რამდენიმე კომპლექსი მოგვეპოვება (დევის ხვრელი, საკაჟია, ოდიში, ბარმაქისიზი, გვარჯილას კლდე და ჭიათურის რაიონის რამდენიმე სხვა ადგილი).

აღნიშნული კომპლექსები ავტორს შემდეგნაირად აქვს განხილული.<sup>2</sup>

## I. ქვედა პალეოლითი

1. უძველესი საფეხურის ნაშთები — სოხუმი, სოფ. კოლხიდა, სოფ. (აშელი კლექტონი) იაშტუხი დ შავი ზღვის აფხაზური სანაპიროს ზოგი სხვა ადგილი.

<sup>1</sup> მღვიმევის პალეოზოოლოგიური ნაშთები, რომელთა სია თან ერთვის სადისერტაციო ნაშრომს, შესწავლილია მოსკოველი პალეონტოლოგის ვ. გრომოვას მიერ.

<sup>2</sup> ჯერჯერობით იძულებული ვართ ვიხმაროთ დასავლეთ ევროპის მკვლევართა მიერ შემოღებული პალეოლითის სხვადასხვა საფეხურის სახელწოდებანი

2. გვიანი საფეხურის ნაშთები -- კელასური; გუდაუთი, გაგრა და  
(მუსტიე) შავი ზღვის აფხაზური სანაპიროს  
ზოგი სხვა ადგილი.

## II. ზ ე დ ა პ ა ლ ე ო ლ ი თ ი

1. ძველი საფეხურის ნაშთები — ხელგულის—კლდე, თარო—  
(ადრინდელი და შუა ორინიაკი) კლდე, დევისხვრელი.  
2. შუა საფეხურის ნაშთები — მღვიმევი.  
(ორინიაკი და სოლუტრე) — საკაყია.  
3. გვიანდელი საფეხურის ნაშ-  
თები — გვარჯილას კლდე,  
(მადლენი; აზილ-ტარდენუა) — წალკა (ბარმაქსიზი, ოდიში,

მღვიმევის პალეოლითური ნაშთები, საქართველოს ძველი ქვის ხანის ძეგლებთან კავშირში განხილული, მიეკუთვნება გარდამავალ საფეხურს დევის ხვრელსა და საკაყიას შორის და იგი გამოავლენს უწყვეტ კავშირს ამ ორი პალეოლითური სადგომის ნაშთებს შორის.

ამრიგად, მღვიმევის პალეოლითური ნაშთები საქართველოს ძველი ქვის ხანის ერთ-ერთ ეპოქაში კულტურის ადგილობრივი და კანონზომიერი განვითარების მაუწყებელ კომპლექსს წარმოადგენს.

საქართველოს ძველი ქვის ხანის ნაშთების ქრონოლოგიურ კლასიფიკაციასთან დაკავშირებით ვეხებით აგრეთვე ე. წ. კაპსიის კულტურის საკითხს (ხმელთაშუა ზღვის აუზში მდებარე ქვეყნების ძველი ქვის ხანა), რომელსაც ენათესავება საქართველოს ტერიტორიაზე დადგენილი ზედა პალეოლითის ნაშთები (გ. ნიორაძე—„პალეოლითის ადამიანი დევისხვრელში“. თბილისი, 1933 წ., გვ. 77). ეს ნათესაური კავშირი, დღემდე აღმოჩენილი მასალების საფუძველზე, და ისიც წინასწარი მოსაზრებით, საერთოდ შეიძლება გაკვლეულ იქნეს შემდეგ თავისებურებათა მიხედვით: ა) ძველი ქვის ხანის გვიანი ეპოქის კაყის ინვენტარში იარაღის განვითარებული სახეების ადრე ჩასახვა; ბ) ძვლის იარაღებისა და ძვალზე გამოყვანილი ხელოვნების ნიმუშების სიმცირე; ვ) პალეოლითურ ნაშთების თავისებური სტრატეგრაფია, ე. ი. საქართველოსა და ყინულოვანი ზონის ქვეყნების პალეოლითური ნაშთების არასინქრო-

ნულობა. ეს უკანასკნელი თავისებურება 'მესწავლილი აქვთ საბჭოთა გეოლოგებს (ვ. გრომოვი, გ. მირჩინკი, ა. სერებროვსკი).

საქართველოს ქვის ხანის ნაშთები ჯერჯერობით არ გვაძლევს საშუალებას, რომ წემოხსენებული ყველა თავისებურება ზუსტად განვსაზღვროთ. განვიხილავთ მხოლოდ პირველს, რომლის გამომწვევი მიზეზი შესაძლებელია დანარჩენ თავისებურებათა მიზეზიც გამხდარიყო.

საქართველოს და საერთოდ კავკასიის ძველი ქვის ხანის განვითარება, ჩრდილო ზონის ქვეყნებთან შედარებით, განსხვავებული და უფრო სწრაფი უნდა ყოფილიყო. ქვის ხანის ეპოქათა ერთი საფეხურის მეორეში გადასვლა თანამიმდევრობით უნდა მომხდარიყო. ამის მაუწყებელია ზემოთ წარმოდგენილი ქრონოლოგიური კლასიფიკაცია საქართველოს ქვის ხანისა, სადაც თანამიმდევრობითი განვითარება უფრო მკვეთრად მოჩანს ზედა პალეოლითის პირველი ეპოქის ნაშთებში. ორინიაკის ადრე და შუა საფეხურთან ერთად მისი განვითარებული და სოლუტრეში გარდამავალი საფეხურებიც მოგვეპოვება (მღვიმევი, საკაჟია). ამისავე მაუწყებელი უნდა იყოს ჩრდილო კავკასიის (ილის სადგომი) და ყირიმის (ჩოქურჩა, კიიკ-ობა) ქვედა პალეოლითის ნაშთებში საჭრისებისა და ძვლის იარაღების დადგენა.

ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირის სამხრეთ ზონაში, განსაკუთრებით კი კავკასიისა და ყირიმის პალეოლითში, შეიმჩნევა ხმელთაშუა ზღვის აუზში მდებარე ქვეყნების ქვის ხანის (კაპსიის კულტურა) კულტურის განვითარების ანალოგიური პროცესი.

საბჭოთა არქეოლოგების მიერ გარკვეულია, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის მიღებული ქრონოლოგიური კლასიფიკაცია, აგრეთვე თვით ძვლისა და ქვის იარაღების ტიპოლოგია, ევროპის აღმოსავლეთ ქვეყნებში სავსებით აღარ მეორდება და აქ ქვისა და ძვლის იარაღების ტიპებში ლოკალური ვარიაციები მოჩანს.

საბჭოთა კავშირის ზედა პალეოლითის ნაშთებში (მალტისა და გაგარინოს პალეოლითური სადგომები). დღეს უკვე დადგენილია იმგვარო ძვლის იარაღები და ძვალზე გამოყვანილი ხელოვნების ნიმუშები, რომლებიც უცნობია პალეოლითის კლასიკურ ქვეყნად მიჩნეულ საფრანგეთის სადგომებშიც კი. ამასთანავე თითქმის იმავე

პერიოდის საქართველოს ქვის ხანის ხაზთებში ძვალზე შესრულებული ხელოვნების ნიმუშები და ძვლის ხაწარში ღარიბად არის წარმოდგენილი. ამდენად, ქვის ხანის ძეგლების შესწავლისას მხედველობაში მისაღები ხდება ის გეოგრაფიული გარემო, რომელშიც ცხოვრობდა ამა თუ იმ ქვეყნის პირველყოფილი ადამიანი.

საქართველოს პალეოლითის ის თავისებურებანი, რომელნიც მას სამხრეთი ქვეყნების ქვის ხანის კულტურას უკავშირებენ, სამხრეთ ქვეყნების პირველყოფილ ადამიანთა იმ სამეურნეო საქმიანობაში უნდა ვეძიოთ; რომელსაც მაშინდელი აქაური მოსახლეობა ჩრდილო ქვეყნებიდან განსხვავებულ ბუნებრივ პირობებში ეწეოდა.

დასაშვებია, რომ სამხრეთი ქვეყნების ხელსაყრელ ბუნებრივ პირობებში მცხოვრებ პირველყოფილ ადამიანთა განვითარების სვლა, შედარებით ჩრდილოეთ ქვეყნებთან, უფრო სწრაფი იყო, ე. ი. ქვის ხანის ცალკეული ეპოქა აქ დროის უფრო მცირე მონაკვეთში თავსდება. ჩვენ ხომ კარგად ვიცით, რომ „გეოგრაფიული გარემო, უდავოა, საზოგადოების განვითარების ერთ-ერთ მუდმივ და აუცილებელ პირობას წარმოადგენს და იგი, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენს საზოგადოების განვითარების მსვლელობაზე“ (ს. კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი, 1938, გვ. 143).

ამ გარემოებას უნდა გამოეწვია პალეოლითის ეპოქათა ის ნაკლები გამოკვეთილობაც, რომელსაც აღინიშნავს ს. ზამიატინი საქართველოს პალეოლითის მიმართ (С. Н. Замятнин. Новые данные по палеолиту Закавказья. Сов. Этнограф. № 2, 1935 გვ. 113). მაგრამ საქართველოს ქვის ხანის ამა თუ იმ ეპოქის ძირითად ინვენტარში მომდევნო ეპოქის იარაღთა სახეების აღზე ჩასახვა არ გვაძლევს იმის საფუძველს, რომ ჩვენში ქვის ხანის რომელიმე ეპოქის შესატყვისი იარაღების არსებობა უარყვით, როგორც ამას ს. ზამიატინი სჩადის.

საქართველოში პალეოლითური ნაშთების ახალმა აღმოჩენებმა (მღვიმევი, საკაყია) უდავოდ დაადასტურა ზედა პალეოლითის კანონზომიერი და თანამიმდევრობითი განვითარება ჩვენში.

კაპსიის კულტურის მატარებელ, ბუნებრივად კარგ პირობებში მცხოვრებ ადამიანებს, მათ შორის საქართველოს იმდროინდელ ადამიანებსაც, თავიანთ ძირითად საქმიანობასთან ერთად (მონადი-

რეობა) ფართოდ უნდა ეწარმოებინათ "შეგროვებითი მეურნეობაც. მაგრამ გეოგრაფიული გარემო სხვადასხვა ქვეყნის პირველყოფილ ადამიანთა საზოგადოებას ერთიმეორისაგან სრულიად განსხვავებულ გზებს კი არ შეუქმნიდა, როგორც ეს უცხოეთის ზოგ არქეოლოგს ჰგონია (ობერმაიერი, ბრეილი, ოსბორნი და სხვები), არამედ განვითარების მსვლელობას სამხრეთ ქვეყნებში ამ შემთხვევაში მხოლოდ დააჩქარებდა.

საქართველოს ქვის ხანის ნაშთების ზოგიერთი თავისებურება არ წარმოადგენს სხვა ქვეყნების პალეოლითისაგან სრულიად განსხვავებულ და დამოუკიდებელი გზების არსებობის საბუთს. საქართველოს ქვის ხანის ნაშთების ქრონოლოგიური კლასიფიკაციის დროს გაიჩქვია, რომ მათ კავშირი აქვთ აგრეთვე ჩრდილო ქვეყნების პალეოლითის სხვადასხვა ეპოქის ნაშთებთან. არც საქართველოს და არც კასიის კულტურის ნაშთები არ არის მათგან მოწყვეტილი, ვინაიდან, ისინი ყველანი პირველყოფილ-თემური წყობილების კულტურის ნაშთებს წარმოადგენენ.

ძველი ქვის ხანის გახვითარება ყველა ქვეყანაში ძირითადად ერთნაირი უნდა ყოფილიყო. „როგორცაა საწარმოო ძალები, ისეთივე უნდა იყვნენ წარმოებითი ურთიერთობანი“ (ს. კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი, გვ. 184), ხოლო თვით საწარმოო ძალთა სიმარტივის გამო გეოგრაფიულ გარემოს გავლენა უნდა მოეხდინა პირველყოფილ ადამიანთა სამეურნეო საქმიანობაზე და ცალკეული ქვეყნის რეალური პირობები პალეოლითურ ნაშთებში კონკრეტული თავისებურებით უნდა ასახულიყო.

საქართველოს ძველი ქვის ხანის ნაშთები და მათთან ერთად მღვიმევის პალეოლითური ნაშთები წარმოადგენენ პირველყოფილ-თემური წყობილების ნივთიერი კულტურის ისეთ ძეგლებს, რომლებიც უდავოდ იძლევიან ქვის ხანის ეპოქათა კანონზომიერი განვითარების ნიშნებს. მათში შემჩნეულ ზოგიერთ თავისებურებას, რაც უკვე შემჩნეულია საბჭოთა არქეოლოგების მიერ, შემდგომი არქეოლოგიური კვლევა-ძიება ალბათ უფრო მკვეთრად გამოამჟღავნებს.

Н. З. К и л а д з е

НОВЫЕ ПАЛЕОЛИТИЧЕСКИЕ НАХОДКИ  
в сел. МІВІМІЕВИ

Автореферат

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომც. სტამბა აკ. შერედიას ქ. 7.  
Типография Академии Наук Грузинской ССР ул. Ак. Перетели № 7

№ 326

№ 02663

ტომ. 100